სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველმა საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

აპლიკანტი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ ზეპირ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ანუ დადებით შეფასებაზე ნაკლები, იგი გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

ზეპირ გამოცდაზე კონკურსანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- **ცოდნა** არჩეული სფეროს შესახებ
- მოტივაცია
- აკადემიური / პროფესიული მიღწევები
- კომუნიკაციის უნარი
- ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - ფასდება შესაბამისი სირთულის დარგობრივი ტექსტის წაკითხვისა და გაგების საფუძველზე;

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში შემოწმდება კანდიდატის აკადემიური მომზადების დონე და ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი. აკადემიური განვითარებისთვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით გამოცდაზე კანდიდატმა უნდა ისაუბროს, რის მიღწევას გეგმავს აკადემიური და პროფესიული თვალსაზრისით, რა არის პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია და რას მოელის პროგრამისაგან (ცოდნა, გამოცდილება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ა.შ.).

ზეპირი გამოცდის შეფასების სისტემა:

არჩეული სფეროს შესახებ ცოდნა	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
დარგის შესახებ ზოგადი ცოდნა		10
კვლევითი ინტერესები		10
ჯამი:		**20**

მოტივაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		5
აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		5

ჯამი:		**20**

აკადემიური/პროფესიული მიღწევები	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები და ა.შ.)		10
სფეროში მუშაობის გამოცდილება და აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		10
ჯამი:		**20**

კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
ქართულ ენაზე გამართული კომუნიკაციის უნარი		10
აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი		10
ჯამი:		**20**

ინგლისური ენის ცოდნა	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგების უნარი		10 (მინ.5 ქულა)
პროფესიული/დარგობრივი ტექსტის შინაარსის გადმოცემის უნარი		10 (მინ.5 ქულა)
ჯამი:		**20**